სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/52

ქ. თბილისი 19 მაისი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტებისათვის დისერტაციის დაცვის ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 19 მაისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტებს, რომლებსაც წარმატებით აქვთ გავლილი სადისერტაციო ნაშრომების წინასწარი დაცვა, მიეცეთ უფლება, სადისერტაციო ნაშრომი დაიცვან მიმდინარე ან მომდევნო სემესტრში დამატებითი თანხის გადახდის გარეშე.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**